01-08-17/61-2019-4
07.08.2019

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდეგში - ადმინისტრაცია), წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **ნათია სულავას** სახით და, მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდეგში - უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის, **არჩილ ფრანგიშვილის** სახით, გამოხატავენ ურთიერთპატივისცემას და თანხმდებიან თანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება უნივერსიტეტის მიერ ამ მემორანდუმის მე-2 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მხარდაჭერის კუთხით, რომლებიც მიმართული იქნება უმაღლესი განათლების გაღრმავებისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარების ხელშეწყობისაკენ სტრატეგიული მნიშვნელობის მეცნიერების მიმართულებებში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას განახორციელონ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება და ხელს შეუწყობს ზემოხსენებული მიზნის განხორციელებას.

2. უნივერსიტეტი მემორანდუმის ფარგლებში ადმინისტრაციას წარუდგენს ინფორმაციას სტრატეგიული მნიშვნელობის სამეცნიერო მიმართულებებში განხორციელებული კვლევების შედეგების თაობაზე.

3. ადმინისტრაცია მიესალმება, უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებმა გაიარონ სტაჟირება ადმინისტრაციაში კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვით და ფარგლებში.

4. ადმინისტრაცია მიესალმება ამ მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და გამოთქვამს მზადყოფნას მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოხატოს შესაბამისი მხარდაჭერა.

3. დასკვნითი დებულებები

ა) მემორანდუმის საფუძველზე ცალკეული ღონისძიებების მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა ან გაუქმება ხდება მხარეთა შეთანხმებით;

გ) ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული შეტყობინება შესაბამის მხარეს უნდა მიეწოდოს გაუქმების თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

დ) წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს მემორანდუმის სხვა დებულებების ბათილად ცნობასა და მემორანდუმის გაუქმებას მთლიანად.

ე) ამ მემორანდუმსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) მხარეები იღებენ ვალდებულებას ურთიერთთანამშრომლობის პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისთვის და დადგენილი წესით და დაიცვან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ზ) მხარეები ოფიციალური კომუნიკაციისათვის იყენებენ შემდეგ მისამართებს:

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“

საქართველო, ქ. თბილისი 0114, ათონელის ქ. №25,

ტელეფონი: +995322288888

ვებგვერდი: www.president.gov.ge

ელ. ფოსტა: mail@president.gov.ge

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველო, ქ.თბილისი 0175, მერაბ კოსტავას ქ.№77

ელ.მისამართი: www.gtu.ge

თ) წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

ი) მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და ძალაშია განუსაზღვრელი ვადით, თუ ერთი მხარე მეორეს წერილობით არ აცნობებს თავისი განზრახვის შესახებ - მოქმედება შეუწყვიტოს მას.

4. მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ნათია სულავა	არჩილ ფრანგიშვილი
ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	რექტორი

29 ივლისი , 2019 წელი

ქ. თბილისი